სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

22 აგვისტო 2024

გადაწყვეტილება # P24000058/0-1 (22/08/2024 11:26:33)

რეგისტრაციის შესახებ

„ლელო საქართველოსთვის“ /შემოკლებული დასახელება: „ლელო“/ ცვლილებით რეგისტრაციის შესახებ

სახელწოდება: „ლელო საქართველოსთვის“
შემოკლებული დასახელება: „ლელო“
საიდენტიფიკაციო ნომერი: 415030264

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22–ე, 23–ე და 24-ე მუხლების, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 9 აგვისტოს N161 ბრძანების საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ

გადაწყვიტა:

1. რეგისტრირებულ იქნეს ცვლილებით „ლელო საქართველოსთვის“ /შემოკლებული დასახელება: „ლელო“/ და პარტიის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოცემისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.#22, ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია იუსტიციის სახლში, მის ფილიალებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge მეშვეობით.